ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3696600

ნომერი: AR1557493

თარიღი : 13.11.2017

გაცემის თარიღი : 22.11.2017

გაცნობის თარიღი : 22.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 2619959 AR1398156
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.05.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. დავით გაჩეჩილაძის 13/11/2017 წლის AR1557493 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ.N18/რუსთაველის გამზირი N7–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 27/05/2016 წლის № 2619959 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. N18/რუსთაველის გამზირის N7–ში, შპს ,,მაგთი''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის/მუზეუმის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაში იყო 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით; 08/12/2016 წლის № 2983572 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 მაისის №2619959 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ: მშენებლობის ვადა განისაზღვრა ,, 2017 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით“

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ.თბილისში, გუდიაშვილის ქ.N18/რუსთაველის გამზირი N7–ში სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2017 წლის 08 ნოემბრის №ბ-19/0117298377-17 ბრძანებით მოქ. დავით გაჩეჩილაძეს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგემარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.